



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 99-ე და 101-ე მუხლების შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებულ საქართველოს კანონის პროექტებს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის შესაბამისად, ვითხოვთ წარმოდგენილი კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვას. მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტები განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით შემდეგი გარემოების გამო: საგადასახადო კოდექსის დღეს მოქმედი რეგულაციით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი (ყალიონით მოსაწევი თამბაქო და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის სხვა სახეობა) აქციზით იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია პირველად საფუთავებში არაუმეტეს 500 გრამის ნეტო მასით. აღნიშნული წარმოდგენს საგადასახადო კოდექსის ხარვეზს, ვინაიდან იძლევა თამბაქოს ხსენებული ნაწარმის დიდი მოცულობის შეფუთვით იმპორტის/მიწოდების შეთხვევაში, გადასახადისაგან თავის არიდების შესაძლებლობას, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. იმ შემთხვევაში, თუ დაჩქარებული წესით არ განხორციელდება წინამდებარე ხარვეზის აღმოფხვრა, არსებობს მეწარმე სუბიექტების მიერ დაუბეგრავი მარაგის დაგროვების რისკი, რასაც უარყოფითი ფისკალური შედეგი მოჰყვება. ამასთან, ბაზარზე გაზრდილია მოთხოვნა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული თამბაქოსა და ნიკოტინის ახალ ნაწარმზე. ვინაიდან აღნიშნული ნაწარმის ბაზარზე გავრცელება იზრდება სწრაფი ტემპით, მიზანშეწონილია, მისი დროული რეგულირება და სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა.

გთხოვთ, მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: _____ ფურცლად.

პატივისცემით,

იხუტა (დ.ჩ.) ნეხაი

სერბი შხიძე

დ.ჩ. ნეხაი

რეზი გუგუნი შვიდი

გუგუნი შხიძე

ი.ჩ.

ი.ჩ.

ი.ჩ.

ი.ჩ.

ი.ჩ.

ი.ჩ.

საქართველოს კანონი
„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №76, 29.12.2010, მუხ. 500) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ზ“ და „ა.თ“ ქვეპუნქტები:

„ა.ზ) თამბაქოს ახალი ნაწარმი - თამბაქოს შემცველი პროდუქტი, რომელიც არ შედის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თამბაქოს ნაწარმის არცერთ კატეგორიაში და საქართველოს ბაზარზე განთავსებულია ამ კანონის მე-4 მუხლის 3¹ პუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად;

ა.თ) თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს ნარჩენები“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სიგარეტი – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნებისმიერი სახის გრაგნილი ან მილისებრი აგებულების კონსტრუქცია, რომელიც განკუთვნილია წვის პროცესით მოხმარებისთვის და რომელიც გახვეულია ქაღალდში ან კანონით დაშვებულ სხვა მასალაში, რომელიც არ შეიცავს თამბაქოს“;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ელექტრონული სიგარეტი - პროდუქტი, რომელიც გამოიყენება ნიკოტინის შემცველი ორთქლის მოხმარებისთვის, რომელიც წარმოიშვა პირის მოწყობილობის მეშვეობით სითხის აორთქლებით, ან ამ პროდუქტის ნებისმიერი კომპონენტი, მათ შორის სითხიანი კარტრიჯი, სარეზერვუარო კონტეინერი ან მოწყობილობა კარტრიჯისა ან ჩასადების გარეშე. ელექტრონული სიგარეტი შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი შესავსები კონტეინერის ან სარეზერვუარო კონტეინერის მეშვეობით ან იტენებოდეს კარტრიჯის ერთჯერადი გამოყენებით“.

2. მე-4 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა¹“ ქვეპუნქტი:

„ა¹) საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალის/კარტრიჯის/კაფსულის მოცულობა, ნიკოტინის შემცველი სითხის მოცულობა, მათში ნიკოტინის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმები, თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით“.

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. თამბაქოს ახალი ნაწარმის მწარმოებლები ან/და იმპორტიორები ვალდებული არიან შეატყობინონ სამინისტროს ნებისმიერი თამბაქოს ახალი ნაწარმის შესახებ, რომლის საქართველოს ბაზარზე განთავსებასაც ისინი გეგმავენ. შეტყობინება სამინისტროს უნდა მიეწოდოს სამინისტროს მიერ განსაზღვრული ფორმით საქართველოს ბაზარზე განთავსებამდე 3 თვით ადრე. შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს თამბაქოს ახალი ნაწარმის დეტალური აღწერა, ასევე მისი გამოყენების ინსტრუქცია და ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების და გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ.“.

3. მე-5 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დავმატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.გ“, „ა.დ“ და „ა.თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმის მიწოდება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიან პირველად საფუთავებში, გარდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება ან გათამაშება, სხვა ფორმით გათამაშება ან/და ამგვარ ღონისძიებებში თამბაქოს ნაწარმის ან მისი რომელიმე ნაწილის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის საშუალებით ან მათი განაწილებით მონაწილეობა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახით თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია, კერძოდ:

ა) საჩუქრის გადაცემა ან შეთავაზება, თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის გადაცემა ან თამბაქოს ნაწარმის გასინჯვის შეთავაზება რეალიზაციის მიზნით;

ბ) ინიციატივის განმტკიცება ან ერთგულების სქემა, კერძოდ, თამბაქოს ნაწარმის გაყიდვისას კუპონების დარიგება;

გ) პირდაპირი პერსონალური კომუნიკაცია, ქსელური მარკეტინგი, რომელიც ახდენს ან შეიძლება მოახდინოს თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია;

დ) ინდივიდისთვის გამიზნული საპოპულარიზაციო მასალა, მათ შორის, საინფორმაციო მასალა (კერძოდ, პირდაპირი გზავნილი), ტელემარკეტინგი, მომხმარებელთა კვლევა, რომელიც ახდენს ან შეიძლება მოახდინოს თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია;

ე) საცალო მოვაჭრისთვის თანხის გადახდა, ჯილდოს მიცემა ან საცალო მოვაჭრის საქმიანობაში წვლილის სხვაგვარად შეტანა, რაც გამიზნულია მისი მოტივირებისთვის, რათა მეტი თამბაქოს ნაწარმი გაყიდოს;

ვ) თამბაქოს მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის, მათთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირების მიერ თანხის გადახდა ან წვლილის სხვაგვარად შეტანა ღონისძიებაში, ფიზიკური პირის ან ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელიც

შედეგად ახდენს თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის ან მათი წარმომადგენლების პოპულარიზაციას;

ზ) ისეთი სათამაშოს, ტკბილეულის ან სხვა ნაწარმის გაყიდვა ან დარიგება, რომელიც არ არის თამბაქოს ნაწარმი და თამბაქოს ნაწარმის ილუსტრაცია, სიმულაცია ან იმიტაციაა.“.

4. მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თამბაქოს ნაწარმის (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ვ“ და „ა.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა) თითოეულ კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე განთავსებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება, რომელიც უნდა მოიცავდეს ძირითად გაფრთხილებას, დამატებით გაფრთხილებას (საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული შესაბამისი პიქტოგრამით, ხოლო ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი ტექსტობრივი წარწერით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.“;

ბ) 2¹ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „2²“ პუნქტი:

„2². ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს ახალი ნაწარმის თითოეულ შეფუთვაზე განთავსებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება.“;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს მთავრობა ამტკიცებს ძირითადი სამედიცინო გაფრთხილების 3 ნიმუშს, დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების 9 ნიმუშს და შესაბამისი პიქტოგრამის 9 ნიმუშს, ტექსტობრივი წარწერის 1 ნიმუშს, შესაბამისი საინფორმაციო ფურცლის ფორმებს, თამბაქოს ახალი ნაწარმისათვის გათვალისწინებული სამედიცინო გაფრთხილების 2 ნიმუშს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, აგრეთვე სამედიცინო გაფრთხილების კომპიუტერულ შრიფტსა და ზომას, გამოსახულების ხარისხის შესაბამის პარამეტრებს.“;

დ) მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) განთავსებული თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის წინა და უკანა დიდ გვერდებზე, ზედა და ქვედა კიდეების პარალელურად, და არ უნდა იკავებდეს გვერდის საერთო ფართობის 65 პროცენტზე ნაკლებს, რომელშიც შედის შემომფარგვლელი ხაზები, ხოლო ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ე“ და „ა.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისთვის – განთავსებული შეფუთვის წინა და უკანა დიდ გვერდებზე და არ უნდა იკავებდეს გვერდის საერთო ფართობის 30 პროცენტზე ნაკლებს, რომელშიც შედის შემომფარგვლელი ხაზები;“.

მუხლი 2.

ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე:

ა) მიიღოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტი;

ბ) დაამტკიცოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული სამედიცინო გაფრთხილების 2 ნიმუში თამბაქოს ახალი ნაწარმისათვის.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-3 მუხლის „ა.თ“ ქვეპუნქტისა და ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-3 მუხლის „ა.თ“ ქვეპუნქტი და ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში იმ ცვლილებების ასახვის აუცილებლობით, რაც უკავშირდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული თამბაქოსა და ნიკოტინის ახალი ნაწარმის ბაზარზე გავრცელებასა და მასზე მოთხოვნის ზრდას. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და მსოფლიოს არაერთი ქვეყნის კანონმდებლები დიდი ხანია თანხმდებიან, რომ მიუხედავად განსხვავებისა ტრადიციული თამბაქოს ნაწარმისაგან, თამბაქოს და ნიკოტინის ნაწარმი, რომელიც არაა დაკავშირებული წვის პროცესთან (თამბაქოს ახალი ნაწარმი) აუცილებელია ექვემდებარებოდეს გარკვეულ რეგულირებას და მოექცეს სამართლებრივ რეჟიმში. ასევე პროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებით, რომლის თანახმადაც თამბაქოს ნაწარმს ასევე წარმოადგენს თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს ნარჩენები.

კანონპროექტის მიღებით ასევე დაახლოება ხდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/40/EU დირექტივასთან „თამბაქოს პროდუქტების წარმოების, პრეზენტაციისა და რეალიზაციის თაობაზე წევრ სახელმწიფოთა კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ, რომელმაც გააუქმა 2001/37/EC დირექტივა“.

„ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ (შემდგომში - *ასოცირების შესახებ შეთანხმება*) XXXI დანართის თანახმად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება საკუთარი კანონმდებლობა დაუახლოვოს 2001/37/EC დირექტივას, რომელიც გაუქმებულია ზემოაღნიშნული 2014/40/EU დირექტივით. შესაბამისად, დინამიური დაახლოების კონტექსტში საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ძალაში მყოფ ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან. დირექტივის დებულებებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვადად ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულია შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსწლიანი ვადა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც უმეტესწილად ამოქმედდა 2018 წლის 1 მაისიდან, ერთნაირად არეგულირებს თამბაქოს და ნიკოტინის ყველა სახის ნაწარმს, თუმცა იგი არ არეგულირებს თამბაქოს ახალ ნაწარმს. შესაბამისი რეგულირების არქონა უარყოფითად მოქმედებს თამბაქოს კონტროლის შემზღუდველი ნორმების ამ პროდუქციის მიმართ გავრცელებაზე, რაც ასევე უარყოფითად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. შესაბამისად, აუცილებელია ცვლილება განხორციელდეს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

ცვლილებების განხორციელებით, ზემოხსენებული პროდუქტი დაექვემდებარება სათანადო კონტროლსა და რეგულირებას, ამასთან, შესაბამისობაში მოვა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 3 აპრილის N2014/40/EU დირექტივასთან. გარდა ამისა, თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს ნარჩენები არ დარჩება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის მოქმედების მიღმა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩნდება თამბაქოს ახალი ნაწარმის და ელექტრონული სიგარეტის ცნებები ისეთივე ფორმულირებებით, როგორც ესაა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 3 აპრილის N2014/40/EU დირექტივაში, კერძოდ, კანონის მე-3 მუხლს ემატება „ა.ზ“ ქვეპუნქტი - „თამბაქოს ახალი ნაწარმი, რომლის თანახმად, იგი არის თამბაქოს შემცველი პროდუქტი, რომელიც არ შედის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თამბაქოს ნაწარმის არცერთ კატეგორიაში და საქართველოს ბაზარზე განთავსებულია ამ კანონის მე-4 მუხლის 3¹ პუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ელექტრონული სიგარეტი კი განიმარტა, როგორც პროდუქტი, რომელიც გამოიყენება ნიკოტინის შემცველი ორთქლის მოხმარებისთვის, რომელიც წარმოიშვა პირის მოწყობილობის მეშვეობით სითხის აორთქლებით, ან ამ პროდუქტის ნებისმიერი კომპონენტი, მათ შორის სითხიანი კარტრიჯი, სარეზერვუარო კონტეინერი ან მოწყობილობა კარტრიჯისა ან ჩასადების გარეშე. ელექტრონული სიგარეტი შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი შესავსები კონტეინერის ან სარეზერვუარო კონტეინერის მეშვეობით ან იტენებოდეს კარტრიჯის ერთჯერადი გამოყენებით.

წარმოდგენილი ცვლილებით, ზუსტდება სიგარეტის განმარტებაც და მის დეფინიციაში ასევე მიეთითება, რომ იგი განკუთვნილია წვის პროცესით მოხმარებისათვის.

კანონპროექტის მე-3 მუხლს ემატება ასევე „ა.თ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად თამბაქოს ნაწარმს ემატება თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს ნარჩენები, ასევე განისაზღვრება ვალდებულება, რომ მითითებული საქონლის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთვევაში თუ იგი დაფასებულია ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიან პირველად საფუთავებში, გარდა ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

კანონპროექტით დგინდება, რომ საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განისაზღვრება სარეალიზაციოდ განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალის/კარტრიჯის/კაფსულის მოცულობა, ნიკოტინის შემცველი სითხის მოცულობა, მათში ნიკოტინის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმები - თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით;

კანონპროექტის თანახმად, განისაზღვრა თამბაქოს ახალი ნაწარმის საქართველოს ბაზარზე განთავსების თაობაზე შეტყობინების წესიც. თამბაქოს ახალი ნაწარმის მწარმოებლები ან/და იმპორტიორები ვალდებული არიან შეატყობინონ სამინისტროს ნებისმიერი თამბაქოს ახალი ნაწარმის შესახებ, რომლის საქართველოს ბაზარზე განთავსებასაც ისინი გეგმავენ. შეტყობინება სამინისტროს უნდა მიეწოდოს სამინისტროს მიერ განსაზღვრული ფორმით საქართველოს ბაზარზე განთავსებამდე 3 თვით ადრე. შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს თამბაქოს ახალი ნაწარმის დეტალური აღწერა, ასევე მისი გამოყენების ინსტრუქცია და

ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების და გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ.

წარმოდგენილი კანონპროექტით, თამბაქოს ახალ ნაწარმზე გავრცელდება სამედიცინო გაფრთხილების დატანის განსხვავებული წესი: თამბაქოს ახალი ნაწარმის თითოეულ შეფუთვაზე განთავსდება საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება (პიქტოგრამის გარეშე); აღნიშნული სამედიცინო გაფრთხილების 2 ნიმუშს დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა; თამბაქოს ახალ ნაწარმთან მიმართებით ასევე დაზუსტდა, რომ სამედიცინო გაფრთხილება უნდა იყოს განთავსებული შეფუთვის წინა და უკანა დიდ გვერდებზე და არ უნდა იკავებდეს გვერდის საერთო ფართობის 30 პროცენტზე ნაკლებს, რომელშიც შედის შემომფარგვლელი ხაზები;

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-3 მუხლის „ა.თ“ ქვეპუნქტისა და ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. ხოლო კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-3 მუხლის „ა.თ“ ქვეპუნქტი და ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

მიზანშეწონილია კანონპროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით. როგორც ზემოთ აღინიშნა ბაზარზე გაზრდილია მოთხოვნა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული თამბაქოსა და ნიკოტინის ახალ ნაწარმზე. ვინაიდან აღნიშნული ნაწარმის ბაზარზე გავრცელება იზრდება სწრაფი ტემპით, მიზანშეწონილია, მისი დროული რეგულირება და სამართლებრივი რეჟიმში მოქცევა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და გაზრდის საგადასახადო შემოსავლებს საწყის ეტაპზე, ჯამურად დაახლოებით 30-40 მილიონი ლარით, რაც მიიღება თამბაქოს ახალი ნაწარმისა და შესაბამისი მოწყობილობების იმპორტისა და რეალიზაციის შედეგად გადახდილი აქციზის, ადვალური და დამატებითი ღირებულების

გადასახადების სახით, იმ დაშვებით, რომ დღეისათვის ქვეყანაში თამბაქოს ახალი ნაწარმის 15,000-მდე მომხმარებელია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, მათ შორის, სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დებულება იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განისაზღვრება საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალის/კარტრიჯის/კაფსულის მოცულობა, ნიკოტინის შემცველი სითხის მოცულობა, მათში ნიკოტინის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმები, თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, აღნიშნული რაიმე დამატებით საგადასახადო ტვირთს ან ფინანსურ ვალდებულებას არ უწესებს მეწარმეებს. უფრო მეტიც, ვინაიდან დღეის მდგომარეობით არაა განსაზღვრული ამ სითხეებში სხვადასხვა ნივთიერებების შემცველობის ზედა ზღვრები, (ევროკავშირის შესაბამისი დირექტივით (2014/40, პრეამბულის 38-ე და მუხლი 20-ის, 3(b) პუნქტები), ნიკოტინის ზღვრული დასაშვები შემცველობა განსაზღვრულია 20 mg/ml ოდენობით) შესაბამისად, რთულდება ელექტრონული სიგარეტისათვის გამოყენებული სითხეების ბაზრის გაკონტროლება. მთავრობის მიერ ნორმატიული აქტის მიღებამდე კი ერთი მხრივ, კეთილსინდისიერ მეწარმეებს მიეცემათ საშუალება ამოყიდონ მარაგები, რაც ახალ სტანდარტთან შეუსაბამოა, მეორეს მხრივ კი მაკონტროლებელ ორგანოს მიეცემა საშუალება და საფუძველი, ბაზარზე არ დაუშვას არალეგალური, მათ შორის კუსტარულად დამზადებული პროდუქცია.

გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში ცვლილების შეტანით კი ზუსტდება და კონკრეტდება ის აქტივობები, რაც ჩაითვლება თამბაქოს პოპულარიზაციად და შესაბამისად, მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან ვერ გახდება ინტერპრეტაციის საგანი, ესა თუ ის აქტივობა მწარმოებლის/იმპორტიორის მხრიდან, მიიჩნიოს კანონით დადგენილი აკრძალვის დარღვევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ ჩაითვლება კანონდარღვევად ის, რაც აკრძალული არ იქნება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით. ამდენად, კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ, ფინანსური თვალსაზრისით

დადებით შედეგებს წარმოქმნის იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება, ანუ, მწარმოებლის/იმპორტიორისათვის, რომელიც აღარ დაჯარიმდება იმ აქტივობისათვის, რაც კანონით არაა აკრძალული.

რაც შეეხება კანონის მე-5 მუხლის 2¹ პუნქტით გათვალისწინებულ რეგულაციას, აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური შედეგები თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ გადამხდელების მიმართ, კერძოდ მათ წარმოშვით შეფუთვასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამასთან, კანონპროექტით გათვალისწინებული სხვა ცვლილებები არ ახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს, მეტიც, ის ხელს უწყობს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 3 აპრილის N2014/40/EU დირექტივასთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

„ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“. მუხლი 357-ე

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასოცირების შესახებ შეთანხმების XXXI დანართის თანახმად და დინამიური დაახლოების კონტექსტში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება უნდა განხორციელდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/40/EU დირექტივასთან „თამბაქოს პროდუქტების წარმოების, პრეზენტაციისა და რეალიზაციის თაობაზე წევრ სახელმწიფოთა კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ, რომელმაც გააუქმა 2001/37/EC დირექტივა“.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონღულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონღულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი

საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 182-ე მუხლის:

ა) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) ახორციელებს მის მიერ იმპორტირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 24031100000, 24031900000 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდებას.“;

ბ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„დ¹“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირი აქციზის გადამხდელად ითვლება მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებზე.“.

2. 184-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 24031100000, 24031900000 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდების მომენტი.“.

3. 185-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) თამბაქოს ნედლეულისათვის, თამბაქოს ნარჩენებისათვის – თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების წონით.“.

4. 188-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის:

ა.ა) ცხრილის მე-3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თამბაქოს ნაწარმი (მათ შორის თამბაქოს ნედლეული/თამბაქოს ნარჩენები)				
	2401*	თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნარჩენები	1 კგ	60
	2402 10 000 01	– – სიგარეები, სიგარეები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	1.9
	2402 10 000 02	– – სიგარილეები (წვრილი სიგარეები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	2.2
	2402 20	– სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1.7

3	2403 11 000 00*	– – ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისთვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კპ	60
	2403 19 000 00*	– – დანარჩენი	1 კპ	60
	2403 91 000 00*	— — „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქო	1 კპ	60
	2403 99 100 00	--- საღეჭი ან საყნოსი (ბურუნუთი)თამბაქო	1 კპ	60
	2403 99 900 01	----- კაფსულები და მსგავსი სახის პროდუქტები.თამბაქოს შემცველობით	20 ცალი	1.7
	2403 99 900 02	— — — — — თამბაქოს ნაწარმი წვის პროცესის გარეშე, ორთქლის მისაღებად გამოსაყენებელი	20 ცალი	1.7“

ა.ბ) „შენიშვნის“ პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ ცხრილის მე-3 გრაფაში მითითებული 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 საქონლის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასებულია ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიან პირველად საფუთავებში, გარდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა.“;

ბ) 1¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტებისთვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ლერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამი;“.

5. 191-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“, „დ¹“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქციზის გადამხდელი;“.

6. 192-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თამბაქოს ნაწარმი (მათ შორის თამბაქოს ნედლეული/თამბაქოს ნარჩენები);“;

ბ) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) სითხეები ნიკოტინის შემცველობით ან ნიკოტინის შემცველობის გარეშე, განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისათვის.“

ბ) მეორე ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00, 2403 91 000 00 და 3824 90 980 01 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი.“

7. 197-ე მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის 121-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

121	24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები
-----	----	---

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

**„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტზე**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა.) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია თამბაქოს ნედლეულის, „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს იმპორტის აქციზით დაბეგვრის, თამბაქოს ნედლეულის, იმპორტირებული თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს მიწოდების აქციზით დაბეგვრის, საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქოს, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნულ თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენ“ სახეობაზე აქციზის განაკვეთის გაზრდის და ამ საქონლების დაბეგვრასთან დაკავშირებით საგამონაკლისო ნორმის გაუქმების აუცილებლობით.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი კანონმდებლობით თამბაქოს ნედლეული არ იბეგრება აქციზით, ხოლო მოსაწევი თამბაქო კი იბეგრება იმის იდენტიფიცირება იმპორტის დროს თუ რომელი საქონელი შემოდის ფაქტობრივად შეუძლებელია, რაც იწვევს გადასახადისგან თავის არიდების მცდელობას.

კანონპროექტის მიზანია გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების აღკვეთა, ასევე, თამბაქოს ბიზნეს სექტორში დასაქმებულ პირთათვის თანაბარი გარემოს შექმნა, კერძოდ, ერთ სამართლებრივ სივრცეში აღმოჩნდებიან თამბაქოს, როგორც აქციზური საქონლის მწარმოებელი პირები, ასევე, ის პირები, ვინც თამბაქოს ნედლეულისა და ნარჩენების მიწოდებას განახორციელებენ მესამე პირებზე.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი რეგულაციით აქციზით დაბეგვრას არ ექვემდებარება თამბაქოს ნედლეული/თამბაქოს ნარჩენები და „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქო, ხოლო საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია პირველად საფუთავებში არაუმეტეს 500 გრამის ნეტო-მასით, გადასახადის გადამხდელს აძლევს შესაძლებლობას თავი აარიდოს გადასახადის გადახდას, ერთის მხრივ, თამბაქოს ნედლეულის/თამბაქოს ნარჩენების ან/და „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს იმპორტის და მიწოდების განხორციელებით, მეორეს მხრივ, გადამხდელს აქვს შესაძლებლობა შეგნებულად დააფასოს 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი 500 გრამზე მეტი ნეტო-მასით, საიმისოდ რომ არ დაექვემდებაროს აქციზით დაბეგვრას.

ზემოაღნიშნული სქემის აღკვეთის მიზნით, მიზანშეწონილია, კანონმდებლობაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

თამბაქოს ნედლეულის, „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს იმპორტის აქციზით დაბეგვრის, ასევე, იმპორტირებული თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს მიწოდების აქციზით დაბეგვრის, საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქოს, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნულ თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენ“ სახეობაზე აქციზის განაკვეთის გაზრდის და ამ საქონლების დაბეგვრასთან დაკავშირებით საგამონაკლისო ნორმის გაუქმების შედეგად მოსალოდნელია როგორც, გადასახადების გადახდის თავის არიდების შემთხვევების აღკვეთა, ასევე, თანაბარი ბიზნეს გარემოს შექმნა და თამბაქოს მოხმარების შემცირება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით საგადასახადო კოდექსის 182-ე მუხლის პირველ ნაწილს ემატება „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად ფართოვდება აქციზის გადასახადის გადამხდელ პირთა წრე და ემატება ის პირი, რომელიც ახორციელებს მის მიერ იმპორტირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 24031100000, 24031900000 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდებას. ამასთანავე, ეს პირი აქციზის გადამხდელად ითვლება მხოლოდ აღნიშნულ კოდებში მითითებული საქონლის მიწოდების ოპერაციაზე.

აქციზის გადამხდელი ახალი პირის შემოღებამ ასევე განაპირობა, ამ სუბიექტის მიმართ აქციზით დასაბეგრი ოპერაციის და დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროის განსაზღვრის აუცილებლობა, ამდენად, პროექტით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 184-ე მუხლის პირველ ნაწილს ემატება „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 24031100000 24031900000 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდების მომენტი ჩაითვლება აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად. ხოლო დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება თამბაქოს ნედლეულისათვის, თამბაქოს ნარჩენებისათვის – თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების წონით.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველ ნაწილში, კერძოდ, თამბაქოს ნაწარმს ემატება თამბაქოს ნედლეული და თამბაქოს ნარჩენები, „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქო, ხოლო საღეჭ ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქოზე, ყალიონით მოსაწევი თამბაქოსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2403 19 000 00* კოდით აღნიშნულ თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენ“ სახეობაზე იზრდება აქციზის განაკვეთის ოდენობა, ასევე ზუსტდება რომ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 24031100000, 24031900000 და 24039100000 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები თუ იგი დაფასოებულია ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიან პირველად საფუთავებში, გარდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა.

ცვლილება შედის ასევე 188-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებულ უფილტრო სიგარეტზე გავრცელდება ფილტრიანი სიგარეტისათვის

განსაზღვრული აქციზის თანხის გამოანგარიშების წესი, კერძოდ, ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამი.

პროექტით ცვლილება შედის საგადასახადო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში და იმ პირის მიმართ, ვინც ახორციელებს მის მიერ იმპორტირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 24031100000, 24031900000 და 24039100000 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდებას, განისაზღვრება ვალდებულება, რომ აქციზის დეკლარაცია, განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების აღნიშვნით, საგადასახადო ორგანოს ყოველი საანგარიშო პერიოდის მიხედვით, არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა უნდა წარუდგინოს.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ასევე ცვლილება შედის საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის პირველ ნაწილში და აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ან/და საქონლის იმპორტის განხორციელებამდე, აგრეთვე ამ კოდექსის 190¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაციის შემთხვევისა) საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირისთვის გადაცემამდე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება თამბაქოს ნედლეული/თამბაქოს ნარჩენები, ასევე, სითხეები ნიკოტინის შემცველობით ან ნიკოტინის შემცველობის გარეშე, განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისათვის. ამასთან, მარკირებით სავალდებულო ნიშანდებას აღნიშნული საქონელი დაექვემდებარება მხოლოდ აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, რადგან წარმოდგენილი პროექტით სეს ესნ-ის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00, 2403 91 000 00 და 3824 90 980 01 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან თავისუფლდება.

პროექტით ცვლილება შედის საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის 121-ე გრაფაში, რომლის თანახმად 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციის გზით შემოტანა დაიბეგრება იმპორტის გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთით, მიუხედავად აღნიშნული საქონლის პირველად საფუთავებში დაფასოების მოცულობისა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

კანონპროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს, რადგან იმ პირებს, რომლებზეც გავრცელდება ამ კანონის მოქმედება მიეცეთ შესაძლებლობა გაეცნონ კანონით გათვალისწინებულ რეგულაციებს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით შემდეგი გარემოების გამო: საგადასახადო კოდექსის დღეს მოქმედი რეგულაციით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი (ყალიონით მოსაწევი თამბაქო და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენი“ სახეობა) აქციზით იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასებულია პირველად საფუთავებში არაუმეტეს 500 გრამის ნეტო მასით. აღნიშნული წარმოდგენს საგადასახადო კოდექსის ხარვეზს, ვინაიდან იძლევა თამბაქოს ხსენებული ნაწარმის დიდი მოცულობის შეფუთვით იმპორტის/მიწოდების შეთხვევაში, გადასახადისაგან თავის არიდების შესაძლებლობას, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. იმ შემთხვევაში, თუ დაჩქარებული წესით არ განხორციელდება წინამდებარე ხარვეზის აღმოფხვრა, არსებობს მეწარმე სუბიექტების მიერ დაუბეგრავი მარაგის დაგროვების რისკი, რასაც უარყოფითი ფისკალური შედეგი მოჰყვება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვნად მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან, თამბაქოს ნედლეულის, „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს იმპორტი დაექვემდებარება აქციზით დაბეგვრას და შესაბამისად, ბიუჯეტში დამატებით აკუმულირდება აქციზის თანხები. ასევე, რადგან იმპორტირებული თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს მიწოდება დაექვემდებარება აქციზით დაბეგვრას, შესაბამისად, იმპორტიორის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდების, როგორც, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას, ბიუჯეტში ფორმირდება დამატებითი თანხები. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე დადებითად აისახება აგრეთვე, საღებავი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქოს, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და სეს ესნ-ის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნულ თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენი“ სახეობაზე აქციზის განაკვეთის გაზრდა, კერძოდ, ამ შემთხვევაში აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განმახორციელებელი პირები ბიუჯეტის სასრგებლოდ გადაიხდიან 60 ლარს, ნაცვლად 35 ლარისა, ყოველ კილოგრამზე. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაზე ასევე გავლენას მოახდენს ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენი“ სახეობის დაბეგვრასთან დაკავშირებით საგამონაკლისო ნორმის გაუქმება, რის შედეგადაც, აღნიშნული საქონელი აქციზით დაიბეგრება მიუხედავად პირველად საფუთავებში დაფასოების მოცულობისა, განსხვავებით დღეს მოქმედი რედაქციისა, რომლის თანახმად საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის

ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი აქციზით იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასებულია პირველად საფუთავებში არაუმეტეს 500 გრამის ნეტო მასით.

გასული წლის მაჩვენებლის გათვალისწინებით, კანონპროექტით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ცვლილებების მიღების შემთხვევაში, მომდევნო 4-5 თვის განმავლობაში, მოსალოდნელია აქციზის სახით ბიუჯეტში დაახლოებით 25 000 000 ლარის, ხოლო მომდევნო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 300 000 000 ლარის, თითოეულ წელზე 100 000 000 ლარის აკუმულირება.

საბიუჯეტო შემოსავლებზე გავლენას მოახდენს ასევე ის გარემოება, რომ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებულ უფილტრო სიგარეტზე გავრცელდება ფილტრიანი სიგარეტისათვის განსაზღვრული აქციზის თანხის გამოანგარიშების წესი, კერძოდ, ფილტრიანი/უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ლერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამი.

2019 წლის გასული 5 თვის მონაცემების მხედველობაში მიღებით, მომდევნო 5 თვის განმავლობაში, უფილტრო სიგარეტზე, აქციზის თანხის სახით ბიუჯეტში დამატებით შევა დაახლოებით 707 160 ლარი, ხოლო მომდევნო სამი წლის განმავლობაში 5 091 550 ლარი თითოეულ წელზე 1 697 184

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის საქართველოში შემოტანის ოპერაცია დაიბეგრება იმპორტის გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთით, მიუხედავად აღნიშნული საქონლის პირველად საფუთავებში დაფასოების მოცულობისა, რაც შესაბამისად, გავლენას იქონიებს საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებაზე. ამასთან, წინა წლის მონაცემების გათვალისწინებით, მომდევნო 4-5 თვის განმავლობაში, აღნიშნულ საქონელზე იმპორტის გადასახადის სახით ბიუჯეტში დამატებით შევა დაახლოებით 178 000 ლარი, მომდევნო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 1 602 000 ლარი, თითოეულ წელზე 534 013 ლარი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლების ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს თამბაქოს ნედლეულის, „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს იმპორტიორ პირებზე და მათი ხარჯი გაიზრდება 60 ლარით, ყოველ იმპორტირებულ კილოგრამზე. იმპორტიორებს ასევე გაეზრდებათ ხარჯი, იმპორტირებული თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს მიწოდების ოპერაციებზე და თამბაქოს ნაწარმის წონის მიხედვით გადაიხდიან აქციზს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გადამხდელთა ფინანსურ შედეგებზე აისახება ასევე ის გარემოებაც, რომ საღებო ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქოს, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნულ თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენ“ სახეობაზე გაიზრდება აქციზის განაკვეთი და აღნიშნული საქონლის იმპორტის შემთხვევაში, იმპორტიორს 35 ლარის ნაცვლად 60 ლარის აქციზის გადახდა მოუხდება 1 კილოგრამზე.

წარმოდგენილი პროექტით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელთან დაკავშირებით უქმდება საგამონაკლისო ნორმა, შესაბამისად, აღნიშნული საქონელი აქციზით დაიბეგრება მიუხედავად დაფასოების მოცულობისა, ამდენად, პირები გადაიხდიან აქციზს ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენ“ სახეობის 500 გრამის ნეტო მასით პირველად საფუთავებში დაფასოებულ მოცულობაზეც.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაზე ასევე გავლენას მოახდენს ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენ“ სახეობის დაბეგვრასთან დაკავშირებით საგამონაკლისო ნორმის გაუქმება, რის შედეგადაც, აღნიშნული საქონელი აქციზით დაიბეგრება მიუხედავად პირველად საფუთავებში დაფასოების მოცულობისა, განსხვავებით დღეს მოქმედი რედაქციისა, რომლის თანახმად საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი აქციზით იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია პირველად საფუთავებში არაუმეტეს 500 გრამის ნეტო მასით.

თამბაქოს ნედლეულის/თამბაქოს ნარჩენების, ასევე, ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისათვის განკუთვნილი, ნიკოტინის შემცველობით ან ნიკოტინის შემცველობის გარეშე სითხეების მიწოდების ოპერაციებზე გადასახადის გადამხდელებს ასევე გაეზრდებათ ხარჯი, მითითებული საქონლის აქციზური მარკით ნიშანდების საფასურის ოდენობით.

თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ გადამხდელებს შესაძლოა წარმოეშვათ ასევე შეფუთვასთან დაკავშირებული ხარჯები, ვინაიდან, თამბაქოს ნედლეულის, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენი“ სახეობის და „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს მიწოდება დასაშვები გახდება მხოლოდ ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიანი პირველადი საფუთავებით (ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება, რომ დაფასოების აღნიშნული ვალდებულება არ გავრცელდება აღნიშნული საქონლის ადგილობრივ მწარმოებლებზე).

უფილტრო სიგარეტის მწარმოებელ/იმპორტიორ პირებს გაეზრდებათ აქციზის გადასახადის ხარჯი, ვინაიდან, აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნებისათვის უფილტრო

სიგარეტის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამის დათვლა უნდა მოხდეს, ნაცვლად 10 პროცენტისა.

იმპორტიორებს გაეზრდებათ ხარჯი, იმპორტის გადასახადის სახით, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00 და 2403 19 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის ნებისმიერი მოცულობის შემოტანის შემთხვევაში, განსხვავებით დღეს არსებული რედაქციისაგან, რომლის მიხედვით აღნიშნული საქონელი იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არაუმეტეს 50 კილოგრამისა.

კანონპროექტის შედეგები აისახება ასევე საბოლოო მომხმარებელზე, ვინაიდან, თამბაქოს ზემოთ აღნიშნულ ნაწარმებზე, ერთის მხრივ, აქციზის განაკვეთის გაზრდა და მეორეს მხრივ, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის შემოღება, გამოიწვევს თამბაქოს ნაწარმზე ფასის მომატებას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით იზრდება აქციზის განაკვეთი საღებუ ან საყნოს (ბურნუთი) თამბაქოზე, ყალიონით მოსაწევ თამბაქოსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნულ თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენ“ სახეობაზე. ასევე, ემატება ახალი დასაბეგრი ოპერაცია, კერძოდ, იმპორტირებული თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, ყალიონით მოსაწევი თამბაქოს და „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს მიწოდების ოპერაცია ხდება აქციზით დასაბეგრი ოპერაცია. აქციზით დაიბეგრება ასევე თამბაქოს ნედლეულის/თამბაქოს ნარჩენების და „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს იმპორტიც. ყალიონით მოსაწევი თამბაქო და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2403 19 000 00 კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის „დანარჩენი“ სახეობა იმპორტის გადასახადით და აქციზით დაიბეგრება მიუხედავად პირველად საფუთავებში დაფასოების მოცულობისა. აქციზი ასევე იზრდება უფილტრო სიგარეტზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონღულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონღულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი

საქართველოს კანონი

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 15) შეტანილ იქნეს ცვლილება და 8² მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ კანონით გათვალისწინებულ თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის და/ან თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეკლამად არ ჩაითვლება ის აქტივობები, ქმედებები და/ან ღონისძიებები, რომლებიც აკრძალული არ არის „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებებიდან გამომდინარე - თამბაქოს ნაწარმის განთავსებისა და რეალიზაციის მიზნებისათვის რეკლამის ცნების დაზუსტების საჭიროებით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რეკლამასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები უნდა აისახოს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

სათანადო ცვლილებების განხორციელების გზით „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში დაზუსტდება თუ რა არ ჩაითვლება თამბაქოს ნაწარმის რეკლამად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, რეკლამის შესახებ კანონში, თამბაქოს ნაწარმის რეკლამის განსაზღვრის მიზნებისათვის მითითება კეთდება თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მე-5-ე მუხლზე და ზუსტდება, რომ რეკლამად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რაც თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მე-5-ე მუხლით არაა აკრძალული.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტის მიღება განპირობებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი კანონპროექტი ასევე განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, მათ შორის, სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით ზუსტდება და კონკრეტდება ის აქტივობები, რაც ჩაითვლება თამბაქოს პოპულარიზაციად და შესაბამისად, მაკონტროლებელი ორგანოს

მხრიდან ვერ გახდება ინტერპრეტაციის საგანი, ესა თუ ის აქტივობა მწარმოებლის/იმპორტიორის მხრიდან, მიიჩნიოს კანონით დადგენილი აკრძალვის დარღვევად. აღნიშნულიდან გამომდინარე „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტით დგინდება, რომ ამ კანონით გათვალისწინებულ თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის და/ან თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეკლამად არ ჩაითვლება ის აქტივობები, ქმედებები და/ან ღონისძიებები, რომლებიც აკრძალული არ არის „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით. ამდენად, კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ, ფინანსური თვალსაზრისით დადებით შედეგებს წარმოქმნის იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება, ანუ, მწარმოებლის/იმპორტიორისათვის, რომელიც აღარ დაჯარიმდება იმ აქტივობისათვის, რაც კანონით არაა აკრძალული.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი; კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ

სახელმწიფოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონღულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონღულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 155³ მუხლის 6² ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6³ - 6⁴ ნაწილები:

„6³. ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიანის გარდა სხვა მოცულობის პირველად საფუთავებში დაფასოებული თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, საჩიბუხე თამბაქოს, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქოს ან/და შესახვევი თუთუნის მიწოდება კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

6⁴. ამ მუხლის 6³ ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

2. დაემატოს შემდეგი შინაარსის 155¹¹ მუხლი:

„**მუხლი 155¹¹.** თამბაქოს ახალი ნაწარმის საქართველოს ბაზარზე განთავსების შესახებ ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა

თამბაქოს ახალი ნაწარმის მწარმოებლების ან/და იმპორტიორების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის თამბაქოს ახალი ნაწარმის საქართველოს ბაზარზე განთავსების შესახებ ინფორმაციის დადგენილი წესით წარუდგენლობა

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.“.

3. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 208.** რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42¹ და 42² მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43¹–44³, 44⁵, 44⁷–44¹¹, 45-ე–46⁴, 48-ე, 49-ე, 50¹, 51-ე–55⁴, 56-ე, 57-ე–59-ე, 59²–მე-60, 60³–61¹, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 71¹, 72¹–78-ე, 79¹–81-ე, 82¹, 82², 82

⁵, 84-ე-86-ე, 87¹-89³, 91², 91³, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100¹, 100², 103¹, 104-ე და 105¹ მუხლებით, 127¹ მუხლის მე-5 ნაწილით, 128¹-128⁵, 143-ე, 144-ე, 144¹⁰, 145-ე, 146¹, 148-ე, 150-ე, 150¹, 151-ე, 152-ე, 152², 153-ე, 153¹ და 153³-153⁵ მუხლებით, 153⁶ მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 154-ე-154², 155¹ და 155² მუხლებით, 155³ მუხლის მე-11-მე-20 ნაწილებით, 155⁶ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 155⁷-155¹¹, 156-ე, 157¹-158¹, 159-ე, 159¹, 159⁴-159¹⁰, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165¹-165³, 166-ე და 167-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171²-171⁴ მუხლებით, 171⁵ მუხლის პირველი, მე-2, მე-4-მე-6 და მე-8-მე-16 ნაწილებით, 172-ე, 172⁴-172⁶, 173-ე, 173⁴-173⁷, 173⁹, 173¹² და 174¹ მუხლებით, 174¹⁵ მუხლის მე-4 ნაწილით, 175¹ და 175² მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177⁸, 177⁹, 177¹¹ და 177¹² მუხლებით, 177¹³ მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4¹ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში), 178-ე, 179¹-179³, 180-ე და 181-ე მუხლებით, 181¹ მუხლის მე-2 ნაწილითა და 182-ე, 183-ე, 187-ე, 187¹, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196³, 196⁶, 197¹, 197² და 199¹ მუხლებით.“.

4. 239-ე მუხლის 38-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„38. ამ კოდექსის 44², 44⁵, 44⁷-44¹¹ და 46²-46⁴ მუხლებით, 155⁷ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით და 155¹¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში იმ ცვლილებების ასახვის აუცილებლობით, რაც უკავშირდება თამბაქოს ნედლეულისა და თამბაქოს ნარჩების მიწოდებისა და რეალიზაციის წესს, ასევე ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული თამბაქოსა და ნიკოტინის ახალი ნაწარმის ბაზარზე გავრცელებასა და მასზე მოთხოვნის ზრდას. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და მსოფლიოს მასშტაბით არაერთი ქვეყნის კანონმდებლები დიდი ხანია თანხმდებიან, რომ მიუხედავად ტრადიციული თამბაქოს ნაწარმისაგან განსხვავებისა, თამბაქო და ნიკოტინის ნაწარმი, რომელიც არაა დაკავშირებული წვის პროცესთან - თამბაქოს ახალი ნაწარმი - აუცილებელია ექვემდებარებოდეს გარკვეულ რეგულირებას და მოექცეს სამართლებრივ რეჟიმში.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიანის გარდა სხვა მოცულობის პირველად საფუთავებში დაფასოებული თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, საჩიბუხე თამბაქოს, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქოს ან/და შესახვევი თუთუნის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევის მიწოდების შემთხვევაში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილების განხორციელებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების ეფექტიანად აღსრულებისათვის აუცილებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში თანმდევ ცვლილების განხორციელება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი იქნება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილების განხორციელებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კოდექსის 155³ მუხლის 6² ნაწილის შემდეგ ემატება 6³ და 6⁴ ნაწილები, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიანის

გარდა სხვა მოცულობის პირველად საფუთავებში დაფასოებული თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, საჩიბუხე თამბაქოს, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქოს ან/და შესახვევი თუთუნის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევის მიწოდების შემთხვევაში. აღნიშნული სამართალდარღვევისათვის დგინდება ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - 4 000 ლარის ოდენობით.

კოდექსს ემატება ახალი სამართალდარღვევა 155¹¹ მუხლის სახით, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას თამბაქოს ახალი ნაწარმის მწარმოებლების ან/და იმპორტიორების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის თამბაქოს ახალი ნაწარმის საქართველოს ბაზარზე განთავსების შესახებ ინფორმაციის დადგენილი წესით წარუდგენლობის შემთხვევაში. აღნიშნული სამართალდარღვევისათვის დგინდება ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ მუხლზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს შეადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, ხოლო საქმეს ადმინისტრაციული წესით განიხილავს სასამართლო, შესაბამისად, ცვლილება აისახება ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208 მუხლში და 239-ე მუხლის 38-ე ნაწილში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი ეფუძნება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის თარიღს.

კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭების საკითხს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული თამბაქოსა და ნიკოტინის ახალი ნაწარმის ბაზარზე გავრცელება და მასზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა, მიზანშეწონილია დროულად განხორციელდეს ახალი ნაწარმის გარკვეულ

რეგულირება და სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა. ამდენად, მიზანშეწონილია, კანონპროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან პროექტით წარმოდგენილი ახალი სამართალდარღვევებისათვის (155³ მუხლის 6³ და 6⁴ ნაწილები და 155¹¹ მუხლი) გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა 2000, 4000 და 5000 ლარის ოდენობით. აღნიშნული შემოსავლის მიღება დამოკიდებული იქნება სამართალდამრღვევ პირთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის რაოდენობაზე, კერძოდ, თუ რამდენი ფაქტი იქნება გამოვლენილი ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიანის გარდა სხვა მოცულობის პირველად საფუთავებში დაფასოებული თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, საჩიბუხე თამბაქოს, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქოს ან/და შესახვევი თუთუნის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მიწოდების და თამბაქოს ახალი ნაწარმის საქართველოს ბაზარზე განთავსების შესახებ ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევის.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. აღნიშნული ცვლილებით, ვინაიდან კოდექსს ემატება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ახალი სახე, შესაძლოა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს გაეზარდოს განსახილველ საქმეთა რაოდენობა, თუმცა საჭირო ხარჯები ანაზღაურდება მათივე ბიუჯეტიდან, ამასთან, დამატებითი ადამიანური რესურსის გარეშე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, მათ შორის, სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის

ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტის მიღება წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. კერძოდ, სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, საჩიბუხე თამბაქოს, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქოს ან/და შესახვევი თუთუნის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში, პირს დაეკისრებათ ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, 155³ მუხლის 6³ ნაწილის საფუძველზე, განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - 4000 ლარის ოდენობით. ხოლო, თამბაქოს ახალი ნაწარმის მწარმოებლებს ან/და იმპორტიორებს 155¹¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაეკისრებათ ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი ახალი სამართალდარღვევებისათვის ადგენს პასუხისმგებლობის ზომას, ფულად ჯარიმების სახით, კერძოდ, 155³ მუხლის 6³ ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის ჯარიმის ოდენობა შეადგენს 2000 ლარს, იგივე სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, 155³ მუხლის 6⁴ ნაწილის თანახმად, ჯარიმის ოდენობა ექვემდებარება გაორმაგებას, ხოლო, 155¹¹ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრება ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონღულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონღულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge), 25/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.019306) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42¹ და 42² მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43¹–44³, 44⁵, 44⁷–44¹¹, 45-ე–46⁴, 48-ე, 49-ე, 50¹, 51-ე–55⁴, 56-ე, 57-ე–59-ე, 59²–მე-60, 60³–61¹, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 71¹, 72¹–78-ე, 79¹–81-ე, 82¹, 82², 82⁵, 84-ე–86-ე, 87¹–89³, 91², 91³, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100¹, 100², 103¹, 104-ე და 105¹ მუხლებით, 127¹ მუხლის მე-5 ნაწილით, 128¹–128⁵, 143-ე, 144-ე, 144¹⁰, 145-ე, 146¹, 148-ე, 150-ე, 150¹, 151-ე, 152-ე, 152², 153-ე, 153¹ და 153³–153⁵ მუხლებით, 153⁶ მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 154-ე–154², 155¹ და 155² მუხლებით, 155³ მუხლის მე-11–მე-20 ნაწილებით, 155⁶ მუხლის მე-3–მე-5 ნაწილებით, ~~155⁷–155¹¹~~, 156-ე, 157¹–158¹, 159-ე, 159¹, 159⁴–159¹⁰, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165¹–165³, 166-ე და 167-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171²–171⁴ მუხლებით, 171⁵ მუხლის პირველი, მე-2, მე-4–მე-6 და მე-8–მე-16 ნაწილებით, 172-ე, 172⁴–172⁶, 173-ე, 173⁴–173⁷, 173⁹, 173¹², 173¹⁴, 173¹⁵ და 174¹ მუხლებით, 174¹⁵ მუხლის მე-4 ნაწილით, 175¹ და 175² მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177⁸, 177⁹, 177¹¹ და 177¹² მუხლებით, 177¹³ მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4¹ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში), 178-ე, 179¹–179³, 180-ე და 181-ე მუხლებით, 181¹ მუხლის მე-2 ნაწილითა და 182-ე, 183-ე, 187-ე, 187¹, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196³, 196⁶, 197¹, 197² და 199¹ მუხლებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის შემუშავება გამომდინარეობს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილი ცვლილებების საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ასახვის აუცილებლობით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული ვალდებულებების თამბაქოს ახალი ნაწარმის მწარმოებლების ან/და იმპორტიორების მიერ ეფექტიანად აღსრულებისათვის აუცილებელია ცვლილების განხორციელება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, 155¹¹ მუხლი ემატება სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რამდენადაც წარმოადგენს საქართველოს კანონის ცვლილებაში ცვლილების პროექტს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული თამბაქოსა და ნიკოტინის ახალი ნაწარმის ბაზარზე გავრცელება და მასზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა, მიზანშეწონილია დროულად განხორციელდეს ახალი ნაწარმის გარკვეულ რეგულირება და სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა. ამდენად, მიზანშეწონილია, კანონპროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ასკ-ის 155¹¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა გაზრდის სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა რაოდენობას. თუმცა, სასამართლო ამ კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს განახორციელებს მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას, მათ შორის, სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ პირდაპირ ფინანსური ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე

გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში: ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონდულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი (დაჩი) ბერაია; დავით სონდულაშვილი; სულხან მახათაძე; ირაკლი მეზურნიშვილი; გურამ მაჭარაშვილი